

ალექსანდრე ცისკარიძე

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის
სტრატეგიული განვითარების კონცეფცია**

ფაკულტეტის მიზანი უნდა იყოს:

- გახდეს ლიდერი ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო განათლებაში, ბიოსამედიცინო მეცნიერულ კვლევასა და ხარისხიან სამედიცინო დახმარებაში
- გახდეს ერთ–ერთი მოწინავე სამედიცინო სკოლა საერთაშორისო მასშტაბით

დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი პრიორიტეტული ამოცანების გადაჭრის გზით:

- სრულყოფა განიცადოს დიპლომამდელმა სამედიცინო განათლებამ და სამედიცინო კურიკულუმი გახდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი;
- ფაკულტეტზე სრულად დაინერგოს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლისშემდგომი (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამები;
- ფაკულტეტზე დაინერგოს უწყვეტი სამედიცინო განათლების/უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამები;
- განვითარდეს კონკურენტუნარიანი ბიოსამედიცინო მეცნიერებები
- გადაიჭრას საუნივერსიტეტო კლინიკის საკითხი

დიპლომამდელი სამედიცინო განათლება

დიპლომამდელი სამედიცინო განათლება წარმოადგენს კომპეტენციებზე დამყარებული სწავლების სისტემას, რომლის გამოსავალია დიპლომირებული კურსდამთავრებულის მიერ კომპეტენციების დაუფლება შემდეგი ძირითადი სფეროების მიხედვით:

- მედიცინის სამეცნიერო ფუნდამენტი
- კლინიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები
- პროფესიული ფასეულობანი
- ცოდნა პოპულაციური ჯანმრთელობის საკითხებში
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები
- კლინიკური აზროვნება
- ინფორმაციული მენეჯმენტი

შედეგზე/კომპეტენციებზე ორიენტირებული სამედიცინო განათლება (outcome/competencies-based medical education), პირველ რიგში, მოითხოვს ტრადიციული, ცალკეულ საგნებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამის გარდაქმნას, სახელდობრ:


- ინტეგრირებული კურიკულუმის შემუშავებას
- კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას
- კვლევაზე დაფუძნებული სწავლების შემოღებას.

სასწავლო პროგრამა დაეფუძნება დიპლომირებული კურსდამთავრებულის კომპეტენციებს, წინასწარ განსაზღვრულ ამოცანებსა და მიზნებს. ახალი ტიპის პროგრამა მიმართული იქნება ბაზისური, კლინიკური და სოციალური დისციპლინების ინტეგრირებული სწავლებისაკენ (სქემა).

კლინიკური საქმიანობის სწავლება განხორციელდება პირველივე კურსებიდან სამედიცინო კონსტექსტში აქცენტებით საბაზისო მექანიზმებზე, ეთიკურ მოსაზრებებსა და მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკაზე.

სასწავლო პროგრამა ხელს შეუწყობს სტუდენტის პასუხისმგებლობის გაზრდასა (აქტიური სწავლა) და პაციენტის მკურნალობაში მის უშუალო მონაწილეობას.

სქემა



სასწავლო პროგრამა შედგენილია ადამიანის ანატომიურ–ფუნქციური სისტემების სწავლებაზე დამყარებული შემდეგი მოდულებისაგან:

1. ცენტრალური ნერვული სისტემა
2. კარდიოვასკულური სისტემა
3. რესპირატორული სისტემა
4. გასტროინტესტინული სისტემა
5. უროგენიტური სისტემა
6. კუნთ–სახსროვანი სისტემა
7. ჰემატოლოგიური/იმუნოლოგიური სისტემა
8. ენდოკრინული სისტემა

სასწავლო პროგრამის პრიორიტეტები იქნება:

- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) ელემენტების შემოტანა
- შემთხვევაზე ორიენტირებული, ინტერაქტიური, მცირე ჯგუფური მეცადინეობები (საშეგირდო სწავლება)
- მოდულების ინტეგრირებული (საბაზისო, სოციალური და კლინიკური დისციპლინების) სწავლის მეთოდოლოგია
- სწავლებაში ინტერნეტის და ინსტრუქციული ხასიათის მედიის გამოყენება

- პასიური სწავლების ჩანაცვლება აქტიური სწავლით, სადაც სტუდენტებს ეკისრებათ ერთობლივი თვითსწავლების პასუხისმგებლობა

სწავლის შედეგები ინტეგრირებულ კურიკულუმში განისაზღვრება ზოგადი კომპეტენციებით და დარგობრივი კომპეტენციებით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს როგორც დარგობრივ ცოდნას, ისე დარგობრივ უნარ-ჩვევებს.

ჩვენს მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა და MEDINE-ს ერთობლივ დოკუმენტთან "სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესების გლობალური სტანდარტები ევროპული სპეციფიკის გათვალისწინებით" და TUNING/MEDINE კომპეტენციებთან.

დარგობრივი კომპეტენციების ძირითადი ბლოკების სტრუქტურა განისაზღვრება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციებით:

დარგობრივი ცოდნა

1. საბაზო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცოდნა;
2. ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა;
3. კლინიკური მეცნიერებების ცოდნა;
4. წამლების და მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნა;
5. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ცოდნა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება;
6. ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა;

დარგობრივი უნარები

პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა:

- ანამნეზის შეკრება
- ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება
- კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება
- განმარტებებისა და რჩევების მიცემა
- პაციენტის გამხნეება და მისი უფლებების დაცვა
- პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება.

კლინიკური შემთხვევების შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა:

- კლინიკური მოხსენების სირთულის გაცნობიერება და შეფასება
- შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია
- დიფერენციული დიაგნოზის გატარება
- პაციენტებთან და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა
- ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე ზრუნვა
- ქრონიკული დაავადებების მართვა.

გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები):

- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მკურნალობა
- ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა
- გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება
- გაიდლაინების შესაბამისი გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება
- ტრავმების მკურნალობა გაიდლაინების შესაბამისად.

მედიკამენტების გამოწერის ცოდნა

- მედიკამენტების გასაგებად და აკურატულად გამოწერა
- შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება
- მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პაციენტისთვის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება
- ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა
- მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება მკურნალობის დანიშვნისას

პრაქტიკული პროცედურების ჩატარება

- წნევის გაზომვა
- ვენეპუნქცია
- ლუმბალური პუნქცია
- ვენაში კათეტერის ჩადგმა
- სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება
- ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში
- ჟანგბადის მიწოდება
- პაციენტების ტრანსპორტირება და მასთან მოპყრობა
- ნაკერის დადება
- სისხლის ტრანსფუზია
- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია
- შარდის ანალიზის გაკეთება
- ელექტროკარდიოგრამის გადაღება
- ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია
- სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება

სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია

- პაციენტთან კომუნიკაცია
- კოლეგებთან კომუნიკაცია
- კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას
- ნათესავებთან კომუნიკაცია
- უნარშეზღუდულ პირებთან კომუნიკაცია
- კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად
- წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით)
- კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია
- კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით
- კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებთან და მასმედიასთან
- ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა.

სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება:

- სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა; კვლევის დიზაინის, დეტალური დაგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების გაკეთების უნარი
- პრაქტიკულ საქმიანობაში ბიომედიცინის მეცნიერებების მიღწევების გამოყენების უნარი
- ბიომედიცინაში სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე რეფერატის/მიმოხილვის დაწერის უნარი
- სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპების ცოდნა.

ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა:

- მკურნალობის ჩატარება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი
- ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების გატარება
- საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება
- ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე.

სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება:

- კონფიდენციალობის დაცვა
- მკურნალობის დროს ეთიკის პრინციპების და ანალიზის უნარის გამოყენება
- ინფორმირებული თანხმობის მიღება და სათანადო ჩანაწერის გაკეთება
- სიკვდილის ცნობის გაცემა
- აუტოფსიის მოთხოვნა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში)
- მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის გამოყენება

- სამედიცინო საქმიანობის წარმართვა მულტიკულტურულ საზოგადოებაში.

პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება:

- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასება
- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური ფაქტორების შეფასება
- დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის დადგენა
- ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულების დადგენა.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება:

- მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში
- შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება
- გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.

სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციის და ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება:

- კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვა
- პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება
- სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიება
- ინფორმაციის შენახვა და შემდეგ მისი გამოყენება
- პირადი ჩანაწერების შენახვის უნარი (პორთფოლიო)

განსხვავებით სხვა დარგებისგან, დიპლომამდელი სამედიცინო განათლების დასრულებისას სწავლის შედეგების შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებასაც.

განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით ინტეგრირებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია კვლევის კომპონენტი. სტუდენტების როლი კვლევაში თანდათან მოიმატებს. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები ისწავლიან არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, არამედ კვლევის ორგანიზაციის, წარმართვის, ანალიზის, შედეგების წარმოდგენის ძირითად პრინციპებს.

გარდა ამისა, კურიკულუმით წინასწარ განისაზღვრება იმ უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რომელიც უნდა აითვისოს სტუდენტმა სწავლის პროცესში. კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია სათანადო კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრების და მრავალპროფილური კლინიკური ბაზების არსებობა. განათლების ხარისხის ამაღლებას მოემსახურება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის შემოღება ფაკულტეტზე. OSCE-ის გამოცდის დროს სტუდენტები მოახდენენ კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრაციას სიმულატორების გამოყენებით ან პაციენტის როლის შემსრულებელ პირებზე.

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება წარმოადგენს სამედიცინო განათლების ფაზას, რომლის საშუალებითაც ექიმები (დიპლომირებული სპეციალისტები) ეუფლებიან სამედიცინო სპეციალობებს (კომპეტენციებს) (მაგ. ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია, მეანობა, ნევროლოგია, ენდოკრინოლოგია, საოჯახო მედიცინა და ა.შ.) დიპლომამდელი სამედიცინო განათლების დასრულების შემდეგ.

სწავლების ეს ფაზა მიმდინარეობს სახელმწიფო დაკვეთის შესაბამისად, მის და პროფესიული ორგანიზაციების/ასოციაციების მიერ დადგენილი წესებით. თსუ-ში დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება განხორციელდება თსუ საუნივერსიტეტო კლინიკებში, სადაც ახალგაზრდა ექიმები გაივლიან კლინიკურ წრთობას უფრო გამოცდილი კოლეგების (საუნივერსიტეტო აკადემიური პერსონალი) მეთვალყურეობის ქვეშ.

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება განხორციელდება ორი გზით: რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლისშემდგომი (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამების გავლისა და სარეზიდენტო მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო-პრაქტიკული პროგრამის შესრულების გზით. თანამედროვე რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლისშემდგომი (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამების და მოდულების განვითარება მედიცინის ფაკულტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება გრძელდება 3-დან 4 წლამდე, სამედიცინო სპეციალობების სპეციფიკიდან გამომდინარე. პრაქტიკაზე დამყარებული თრენინგის საშუალებით იგი ანიჭებს ექიმს (დიპლომირებულ სპეციალისტს) ექიმ-სპეციალისტის კომპეტენციას, რომელიც საშუალებას აძლევს აწარმოოს დროის მოთხოვნათა შესაბამისი მაღალპროფესიული სამედიცინო პრაქტიკა მედიცინის კონკრეტულ სფეროში დამოუკიდებლად ან პროფესიონალთა გუნდის შემადგენლობაში ქვეყნისათვის პრიორიტეტული ჯანდაცვის სისტემის ფარგლებში.

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სასწავლო პროგრამების ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზანია, ხელი შეუწყოს ექიმებს:

- კომპეტენციის გაფართოებაში, რაც გააუმჯობესებს ზოგადად სამედიცინო სერვისის ხარისხს;
- განათლების მიღების მუდმივ მზაობაში არჩეული სპეციალობის ფარგლებში;
- მოემზადონ „მთელი ცხოვრების განმავლობაში“ დამოუკიდებელი სწავლისათვის (Lifelong learning);
- მზაობაში უწყვეტი სამედიცინო განათლების და პროფესიული განვითარებისათვის.

უწყვეტი სამედიცინო განათლება/უწყვეტი პროფესიული განვითარება

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება ნაწილია სამედიცინო განათლების კონტინუუმის, რომელიც ასევე აერთიანებს უწყვეტ სამედიცინო განათლებას/უწყვეტი პროფესიულ განვითარებას

უწყვეტი პროფესიული განვითარება (უპგ) გულისხმობს სწავლის (განათლების/თრენინგის) პერიოდს ბაზისურის სამედიცინო და პოსტდიპლომური განათლების (რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლისშემდგომი (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამები, სარეზიდენტო მოდულები) დასრულების შემდგომ, რომელიც გრძელდება ექიმის პროფესიული ცხოვრების განმავლობაში. უსგ წარმოადგენს პროფესიულ იმპერატივს ყველა ექიმისათვის, რომელიც თუმცაღა კი თვით ექიმ-სპეციალისტის მიერ იწარმოება და ნაკლებად გულისხმობს პროფესიულ ხელმძღვანელობას და რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება და უპგ მიაჩნება ექიმ-სპეციალისტებს კომპეტენციას არჩეული საექიმო სპეციალობის მიხედვით, რომელთა უნივერსალური მახასიათებლებია:

- პაციენტზე ზრუნვა: ჯანმრთელობის პრობლემის მიმართ სპეციალისტის დამოკიდებულება უნდა ხასიათდებოდეს ეფექტურობით, შესაბამისობით/ადექვატურობით და თანაგრძნობით, რისი ძირითადი მიზანი უნდა იყოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება
- ცოდნის განმტკიცება ბაზისურ ბიოსამედიცინო, კლინიკურ, ქცევით და კლინიკურ მეცნიერებებში, სამედიცინო ეთიკასა და სამედიცინო იურისპრუდენციაში. ამ ცოდნის გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში
- ინტერპერსონალური და საკომუნიკაციო ჩვევების განმტკიცება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ადექვატურ და ეფექტურ გაცვლას პაციენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან, ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას კოლეგებთან, ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებთან, სამეცნიერო საზოგადოებასთან და მოსახლეობასთან
- ახალი სამეცნიერო ცოდნის შეფასება და ადექვატური გამოყენება სამედიცინო პრაქტიკის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით
- ხელმძღვანელის, მასწავლებლის და თრენინგის ფუნქცია კოლეგებთან, სტუდენტებთან და ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან მიმართებაში
- შემდგომი სწავლისადმი მზაობა, განსაკუთრებით არჩეული სპეციალობის ფარგლებში მეცნიერების მიღწევების მიმართ

- პროფესიონალიზმი
- პაციენტთა უფლებების დაცვისადმი ინტერესი და მოტივაცია.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ჯანდაცვის პოლიტიკის შესახებ ცოდნა, რაც მონაწილეობის საშუალებას იძლევა ჯანდაცვის დაგეგმარებაში, ჯანდაცვის ორგანიზატორებსა და მენეჯერებთან პარტნიორობაში, ხარჯ-ეფექტური ჯანდაცვის სისტემის გამომუშავებაში, ჯანდაცვის ეკონომიკასა და რესურსების მობილიზებაში
- ჯანდაცვის სისტემების გაგება/ინტერპრეტირება და მათი სისტემური გაუმჯობესება.

ბიოსამედიცინო მეცნიერება

მედიცინის ფაკულტეტის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი იქნება საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიოსამედიცინო მეცნიერების განვითარება. განსაკუთრებით აქცენტირებული იქნება ერთობლივი სამეცნიერო კვლევები ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის წამყვან სამედიცინო ცენტრებთან, აგრეთვე ინტერდისციპლინური ერთობლივი პროექტები (მაგ. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებთან).

ხელი შეეწყობა მაღალი ხარისხის სამეცნიერო საგრანტო პროექტების წარდგენას როგორც საერთაშორისო და უცხოურ ფონდებში, ისე საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში.

ბიოსამედიცინო სამეცნიერო კვლევების სტიმულირებისათვის სასურველია სამეცნიერო კვლევების შიდასაუნივერსიტეტო ფონდში გამოიყოს მიზნობრივი სექციები სპეციალობების მიმართულებით, რომელიც გარკვეული ლიმიტის ფარგლებში დააფინანსებს მხოლოდ სამედიცინო მიმართულების კვლევებს.

სადოქტორო პროგრამების შეფასებისას პრიორიტეტი მიენიჭებათ ერთობლივ სადოქტორო პროგრამებსა და სამეცნიერო პროექტებს.

სადოქტორო ხარისხის მინიჭების ერთ-ერთი წინაპირობა (საჯარო დაცვაზე დაშვება) სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამის შესრულების გარდა იქნება დისერტანტის მიერ იმპაქტ-ფაქტორის მქონე

საერთაშორისო რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში ან მონოგრაფიაში სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებული ან დასაბუქდად მიღებული ერთი ორიგინალური ნაშრომი. ყოველივე ეს საშუალებას მისცემს სადისერტაციო საფაკულტეტო საბჭოს სადოქტორო ხარისხის მაძიებლისათვის კვალიფიკაციის მინიჭებას მხოლოდ მაღალი ხარისხის სამეცნიერო კვლევის შესრულებისათვის.

ბიოსამედიცინო კვლევების სტიმულირებისათვის ბაზისურ და კლინიკურ დეპარტამენტებთან სასურველია შეიქმნას მცირე ინტერდისციპლინური ინსტიტუტები, რომლებიც დაკავებული იქნებიან კონკრეტული, განსაკუთრებით აქტუალური სამეცნიერო პრობლემატიკით. მათი საქმიანობის კოორდინირებისათვის და ზოგადად ბიოსამედიცინო მეცნიერების განვითარების კონკრეტული მიმართულებების პროგნოზირების, სტრატეგიის შემუშავების და კოორდინირებისათვის ფაკულტეტზე მიზანშეწონილია შეიქმნას სამედიცინო მეცნიერებათა ცენტრი.

საუნივერსიტეტო კლინიკები და კლინიკური ბაზები

საუნივერსიტეტო სამედიცინო განათლების განვითარების თანამედროვე ეტაპი გულისხმობს სწავლების ძირითადი ნაწილის, მათ შორის, ბაზისური სამედიცინო განათლების, რომლის ქვაკუთხედს წარმოადგენს ე.წ. „საშეგირდო“ (clerkship) სწავლება, წარმართვას სამედიცინო დაწესებულებებში (კლინიკებში).

რაც შეეხება სამედიცინო განათლების მეორე საფეხურს – რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლისშემდგომი (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, იგი ექსკლუზიურად კლინიკაში ხორციელდება. ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე რეფორმები სამედიცინო სფეროში, რაც გულისხმობს 100 ახალი სავადმყოფოს შექმნას საქართველოს მასშტაბით, ხოლო თბილისში რამოდენიმე ჰოსპიტალური კლასტერის ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორ კლინიკებთან ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების დამყარებას. ამგვარი დამოკიდებულების ყველაზე ეფექტური მოდელია ე.წ. საუნივერსიტეტო კლინიკების ან ჰოსპიტალების არსებობა, რომლის მართვაში გარკვეული ფორმით მონაწილეობს უნივერსიტეტიც. თანამედროვე გაგებით საუნივერსიტეტო კლინიკის საკადრო საფუძველია

საუნივერსიტეტო აკადემიური პერსონალი, რეზიდენტი (სპეციალობის მაძიებელი) და სტუდენტი.

აკადემიურ პერსონალს, რეზიდენტთა (სპეციალობის მაძიებელთა) და სტუდენტთა წვრთნის გარდა, ეკისრება პასუხისმგებლობა კლინიკური და სამეცნიერო საქმიანობის წარმართვაზე, რეზიდენტები წარმოადგენენ კლინიკური საქმიანობის გამტარებლებს და ამასთან, მონაწილეობენ სტუდენტთა სწავლებასა და სამეცნიერო მუშაობაში, ხოლო სტუდენტები ცოდნის მიღებასთან ერთად ეჩვევიან კლინიკური საქმიანობის საფუძვლებს, კლინიკური და სასწავლო პროცესის მიღმა, სამივე რგოლი აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო მუშაობაში. სწორედ, ამგვარი სიმბიოზი უზრუნველყოფს პრაქტიკული (კლინიკურ-სამედიცინო) საქმიანობის, პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის უმაღლეს ხარისხს, რომლითაც გამოირჩევიან თანამედროვე საუნივერსიტეტო კლინიკები და ჰოსპიტალები.

ამასთან, აუცილებელი პირობა, რომელიც გარდა ჩამოთვლილისა გამოარჩევს საუნივერსიტეტო ჰოსპიტალს, არის მისი მრავალპროფილურობა, რაც საშუალებას იძლევა მის ბაზაზე მაქსიმალური რაოდენობით განსხვავებული პროფილის მქონე კლინიკური დეპარტამენტების განთავსებისა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, დროის მოთხოვნათა შესაბამისი ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, რომლის გარეშეც ხარისხიანი სამედიცინო დახმარების გაწევა შეუძლებელია.

თსუ ასოცირებული პროფესორი

ალექსანდრე ცისკარიძე

30 აპრილი 2010 წელი